

ბნელებადი ცვალებადი გარსკვლავების — *U OPHIUCHI*-ს  
ელექტროპოლოგიური მასები \*

6. გაღალაშემოლი

შესავალი. ბნელებადი ცვალებადი გარსკვლავების შესწავლა მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ვარსკვლავების გეომეტრიული და ფიზიკური მახასიათებლების შესახებ. ჩვენი ცოდნა ვარსკვლავების მასების შესახებ მთლიანად ეყრდნობა ვიზუალურად ორმაგ და ბნელებად ორმაგ ვარსკვლავთა შესწავლას, თუკი ეს უკანასკნელი შესწავლილი არიან აგრეთვე როგორც სპექტრულად ორმაგი ვარსკვლავებიც. ცნობები ვარსკვლავების სიმკვრივეების შესახებ უმთავრესად ფოტომეტრიულად ორმაგი ვარსკვლავების და, ნაწილობრივ, ვიზუალურად ორმაგი ვარსკვლავების შესწავლის შედეგებს ეყრდნობა.

ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავის სიკაშვაშის ცვალებადობის მრუდის შესწავლით შესაძლებელია მიღებულ იქნეს სისტემის შეფარდებითი განზომილებანი, ორბიტის დაბრა, კომპონენტების ელიფსურობა და სისტემის კომპონენტების სხვა მახასიათებელი სიდიდეები.

ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავების ზუსტი ფოტომეტრიული და, განსაკუთრებით, ელექტროფოტომეტრიული დაკვირვებანი შესაძლებელს ხდიან განსაზღვრულ იქნეს მოვლენები, რომლებიც სიკაშვაშის მრუდზე უფრო ნაკლებად გამოვლინდებიან, ვიდრე დაბნელების გეომეტრიული მხარე და, რომლებიც ცვლიან სიკაშვაშის ცვალებადობის წმინდა გეომეტრიულ სურათს. ამ მოვლენებს სუსტ ეფექტებს უწოდებენ. მათ რიცხვს ექვთვნის კომპონენტების ურთიერთგანათება, ელიფსოიდური კომპონენტების ფორმისა და განლაგების არამსგავსება, პერიასტრის ეფექტი, რომელიც წარმოადგენს კომპონენტების სხივური ენერგიის ურთიერთმოქმედების ცვლილების შედეგს ორბიტის ელიფსურობის გამო და სხვა.

მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავების ზუსტი ფოტომეტრიული მრუდების შედარება სპექტრულ მონაცემებთან და აგრეთვე ერთისა და იმავე ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავის ორ სხვადასხვა სპექტრულ უბანში დაკვირვებათა შედარება. უკანასკნელ ხანებში ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავების — *SX* და *RX Cassiopeiae*, *U Cephei* და *AR Monocerotis* — კომპონენტებისათვის ექსპერიმენტულად დადგენილია განფენილი ატმოსფეროს არსებობა. *RX Cassiopeiae* — სათვის დაკვირვებით მიღებულია მთავარი და მეორადი მინიმუმების მეტისმეტად არაერთნაირი ხანგრძლიობა. გარდა ამისა, ს. გაპოშკინშა<sup>1</sup> ფოტოგრაფიული მრუდების შედარებით დაბნელების ხანგრძლიობა ვიზუალური სხივებით გაცილებით მეტი მიიღო, ვიდრე ფოტოგრაფიული სხივებით, ვარსკვლავების ფოტომეტრიული განზომილებანიც — ფოტოგრაფიული სხივებით ნაკლები. ეს განსაკუთრებულებანი, თუმცა უფრო ნაკლე-

\* ნაშრომის შინაარსი წარმოადგენს ავტორის საკანდიდატო დისერტაციის საფუძველს.

აქვთ შკვერობად ისახაული ე-ლეი...  
სიკაშვაშის შემცირება მოცემული ტემპერატურის დროს მით მეტია, რაც  
ნაკლებია ტალღის სიგრძე. იერქსის ობსერვატორიაში სტრუვეს შიერ ზემოთ  
ჩატარებულ ვარსკვლავებზე ჩატარებულმა სპექტრულმა დაკვირვებულმა უჩვენა  
ჩამოთვლილ ვარსკვლავები ერთი ან ორივე კომპონენტიდან გაზე-  
ბნელებადი ცვალებადი ვარსკვლავების ერთი ან ორივე კომპონენტიდან გაზე-  
ბნელი გამოდინება, რაც ადასტურებს გაზოვანი ვარსკვლის არსებობას. განვენილი  
არმოსფეროს მქონე ვარსკვლავების შესწავლა აფარითოებს ჩვენს წარმოდგე-  
ნიბს ვარსკვლავების ბუნების შესახებ.

სხვა კულტურული და საკუროვებათა მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ სხვადა-  
კოლორიმეტრიულ დაკავირვებათა მნიშვნელობაზე მიუთითებდნენ სხვადა-  
სხვა ავტორები აკრეთვე ტიხოვ-ნორდმანის ეფექტის შესწავლის მიზან.  
სხვა ავტორები აკრეთვე ტიხოვ-ნორდმანის ეფექტის შესწავლის მიზან-  
თან დაკავშირებით. ეს ეფექტი მდგომარეობს იმაში, რომ ბნელებადი ვარსკვლა-  
ვების შინიშუმების მომენტები სხვადასხვა სხივებში არ თანხვდება ერთიმეორეს.  
ვების შინიშუმების მომენტები სხვადასხვა სხივებში არ თანხვდება ერთიმეორეს.

1943 წელს პროფესორ დ. მარტინოვის მიერ შოწოდებული ისეთი ვარსკვლავების სიიდან, რომელნიც საინტერესო არიან გლექტრონულობრივებ-რიული დაკვირვების თვალსაზრისით, ავარჩიეთ *Urotrygon ophiochi* (U გველისმჭერი-სა). ეს ერთ-ერთი ყველაზე უფრო კაშკაშა ბნელებად ცვალებად ვარსკვლავთა-განია. მისი სიკაშკაშე გაკეთდება არის 5-7. მისი სიკაშკაშის ცვალებადობა ძლიმობითი იყო გულდის (Gould) მიერ 1871 წ.

აღმოჩენის შემდეგ ჩატარებული იყო მთელი რიგი ფოტომეტრიული და-  
კვირვებები:

1) Յոյզերոնցու (E. Pickering) և Յանդըլու (Wendell) մօյն  
1882 թ. մօղեծողություն 238 գալաքսիաներից է:

— 1902 წლის აშარტო. მითო 36 მინიმუმი.

—1902 წლებით აუკრძალა, მიღებო ას მინისტერი.  
3) იენდელის<sup>4</sup> (Yendell) მიერ 1882—1892 წ. მიღებული იყო 447  
დაკუირკება.

4) 206 ፩ ፻፭ ፳ ፧ 1906 ዓ.ም. በዚህ ሰዓት 235 የዚህን የግብር ነው<sup>5</sup>.

ამ პირველ დაკვირვებათა საფუძველზე დადგენილი იყო, რომ სიკაშვაშის  
მრუდი არის ალგოლის ტიპისა. სიკაშვაშის ცვლილების პერიოდიდ ლებუ-  
ლობდნენ ნამდვილი პერიოდის ნახევარს,

ამ ფოტომეტრიულ დაკვირვებათა საერთო ნაკლად ჩაითვლება დაკვირვებათა არასაკმარისი რაოდენობა სიკიზუაშის მაქსიმუმში.

1915 წელს შაპლიმ (Shapley) ჩაიტარა პიკერინგისა და ვენდე-  
ლის დაკვირვებათა დეტალური დისკუსია. სიკაშკაშის ცვლილების ანალიზის  
საფუძველზე შაპლიმ დაადგინა, რომ სიკაშკაშე მაქსიმუმში არ არის მუდ-  
მივი და რომ მრუდზე არის თითქმის ერთნაირი სიღრმის ორი მინიმუმი, ე. ი.

ვარსკვლავი მიეკუთვნება „β Lyrae“-ს ტიპს. გრდა ამისა, მან დაადასტურა, რომ *U Ophiuchi*-ს სიკაშვაშის ცვალებადობის პერიოდი ორჯერ უნდა აღემა-ტებოდეს პირველიდ მიღებულ მნიშვნელობას.

ფროსტის (Frost) სპექტრულმა დაკვირვებებმა იერკასის ობსერვატორიაში, აგრეთვე დაადასტურა პერიოდის გაორება. სპექტრის მიხედვით კომპონენტებს ძევთ თითქმის ერთნაირი სიკაშკაშენი, ასე რომ მინიმუმები ერთმანეთისაგან ძალიან არ უნდა განსხვავდებოდენ.

30 კერინგისა და ვენდელის დაკვირვებები შაპლიმ ორბიტის გამოსათვლელად გამოიყენა. სიკაშკაშის მრუდიდან მთავარი და მეორადი მინიმუმების სიღრმეები იღმოჩნდა:  $A_1 = 0^{\circ} 69$ ,  $A_2 = 0^{\circ} 59$ . შაპლიმ მოგვცა ორი ამოხსნა U-ჭიპოთეზით და ერთი ამოხსნა D-ჭიპოთეზით და წრიული ორბიტის დაშვებით. U-ჭიპოთეზით დაბნელების ნახევარხანგრძლიობა 0.128 დღელამეა, D-ჭიპოთეზით კი — 0.132. U-ჭიპოთეზით ერთი და D-ჭიპოთეზით ამოხსნის მიხედვით საქმე გვაქვს ტოლჩალიუსებიან, ერთნაირი სიკაშკაშის მქონე კომპონენტებთან; დაბნელება ნაწილობრივია. U-ჭიპოთეზით მეორე გადაწყვეტის მიხედვით კომპონენტები განსხვავდებიან როგორც სიკაშკაშის მიხედვით, აგრეთვე რაღიუსებითაც.

პლასკეტთა (Plaskett) 1919 წელს მიღებული 14 სპექტროგრამის მიხედვით გამოითვალი სპექტრული ორბიტა. უკანასკნელის ელემენტები მცლებული იყო წრიული ორბიტის დაშვებით:  $e=0$ . შაპლის ფოტომეტრული ელემენტების საფუძველზე პლასკეტთა მიიღო კომპონენტების აბსოლუტური განხომილებანი, მათი მასები და სიმკვრივეები. პლასკეტის მიხედვით კომპონენტების სპექტრი არის  $B5$ , კაშკაშა კომპონენტის აბსოლუტური სიდიდე: —0<sup>m</sup>.19. შაპლისა და პაიკის (Pike) მიხედვით სპექტრი არის  $R8$ .

უფრო გვიანი ფოტოსეტრიული დაკვირვებებიდან შეიძლება ვახსენოთ:

1) ნილანდის<sup>8</sup> (A. Nijland) 238 დაკვირვება. მან მიღო, რომ ორივე მინიმუმი არის ერთნაირი სიორმისა და 0<sup>o</sup>-60-ის ტოლი.

2) მ. ზერევის<sup>9</sup> 209 დაკვირვება. სიკაშვაშის მრუდიდან ზერევმა მიიღო მინიმუმის ხანგრძლიობა ტოლი 0.32 დღელამისა, მინიმუმების სიღრმენი:  $A_1 = 0^m 54$  და  $A_2 = 0^m 63$ . მან დაადგინა მინიმუმების შტოების ასიმეტრიულობა. მთავარ მინიმუმში სიკაშვაშის ზრდა უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე კლება; მეორად მინიმუმში კი — პირიქით.

3) Տ կոծ ց ր լ օ ս<sup>10</sup> (Skoberla) կողման մեթոդով დაკვირვებაն. ամ դա-  
կվիրվեბատա մոնտեգուտ մոնոմում մոմենտում պահպան դա լուրջ սեզար առ  
տանեցած է դաշտում գործության մեջ. առաջնական սեզար է պահպան +5.9 մոտե.

4) ვიოლას<sup>11</sup> (Viola) დაკვირვებანი გვიჩვენებენ სხვა ავტორების მონაცემებისგან განსხვავებულ ფაქტებს. თავის მრუდის საფუძველზე ვიოლამ დაადგინა მეორადი მინიმუმის ყადაადგილება ორი მომდევნო მთავარი მინიმუმის შუა ადგილიდან:

$$t_3 - t_1 - \frac{P}{2} = -0.0952,$$

ამავე დროს კი მეორადი მინიმუმის გადაადგილება არ არის შემჩნეული არც ერთ იმ მრულზე, რომელიც ზემოთ დავასახელეთ. მეორადი მინიმუმის გადაადგილების მიხედვით ვითლამ მიიღო ორბიტის ექსცენტრისიტეტი  $e = 0.288$  და პერიასტრის გრძედი  $a = 10^{\circ}44'5$ . მინიმუმების სილომეები აგრეთვე ძლიერ და განსხვავდება სხვა ავტორების ფოტომეტრიულ მონაცემებისაგან:  $A_1 = 0^m 81$ ,  $A_2 = 0^m 65$ . კომპონენტების ელიფსურობა:  $\zeta = 0.120$  და  $Z = 0.055$   $U$  და  $D$  პოლივებში, შესაბამისად.

5) ჰაუსერის<sup>12</sup> (C. Hause) ელექტროკოლორიმეტრიული დაკვირვება ვებანი. სიკაშვაშის მრულის მიხედვით ჰაუსერმა მიიღო, რომ სისტემის კომპონენტები წარმოადგენ თითქმის ერთნაირი განსოშილების ელიფსოიდებს ექსცენტრისიტეტით  $e = 0.310$ . კომპონენტების დიდი ნახევარლერების შეფარდება  $k = 0.945$ . დაბნელებანი ნაწილობრივია; მთავარ მინიმუმში დაბნელებულია პატარი ვარსკვლავი.

მთელი რიგი წინააღმდეგობანი სხვადასხვა დამკირვებელის შედეგებში (მეორადი მინიმუმის გადაადგილება ვითლამ დაკვირვებების მიხედვით, მინიმუმების არაერთნაირი სილომე სხვადასხვა ავტორის მიხედვით, ზეერთი მიერ შემჩნეული ასიმეტრია მინიმუმებისა, ტიხოვ-ნორდმანის ეფექტი სკობერლას მიხედვით) და ის ფაქტი, რომ არ მოიპოვება *U Ophiuchi*-ს ზუსტი კოლორიმეტრიული დაკვირვება, საინტერესოს ხდის ამ ვარსკვლავის შესწავლის.

აპარატურა და დაკვირვების მეთოდიკა. *U Ophiuchi*-ს დაკვირვებანი ვაწარმოეთ 1944 წ. მაისიდან 1945 წ. სექტემბრამდე ვ. ნიკონოვის ელექტროფოტომეტრით, რომელიც დადგმულია 13" რეფლექტორის ნებმიტის ფოკუსში. მთავარი ფოკუსური მანძილი ეტოლება 165 სმ, ხოლო მაკივალენტური ფოკუსი 500 სანტიმეტრია.

ელექტროფოტომეტრი გამოყენებულია გაზით სავსე სურმა-ცეზიუმის ფოტოელემენტი, რომელიც დამუშავებულია ლენინგრადის კინოინჟინერთა ელექტროვაკუუმის ლაბორატორიაში ს. ლუკიანოვისა და ნ. ლუშჩევას მიერ.

სურმა-ცეზიუმის ფოტოელემენტი კარგად აქმაყოფილებენ იმ მაღალ მოთხოვნებს, რომლებსაც უყენებს სავარსკვლავო ელექტროფოტომეტრია ფოტოელემენტებს. მაღალ ინტეგრალურ გრძნობიერებასთან ერთად მათ მცირებნელი დენები იხსიათებს. სურმა-ცეზიუმის ფოტოელემენტებს ახასიათებს აგრეთვე მკაფიო უპირატესობანი სხვა ტიპის ფოტოელემენტებთან შედარებით როგორც ფოტოელექტრული დალლილობის უქონლობის თვალსაზრისით, დიდი განათებულობის შემთხვევაშიაც კი, ისე აგრეთვე ზედაპირზე გრძნობიერების განაწილების თვალსაზრისითაც. მათი გამოყენება განსაკუთრებით მიზანშეწონილია ელექტროფოტორიმეტრიულ სამუშაოთა შემთხვევაში, რადგანაც აქვთ საკმაოდ ფართო სპექტრული გრძნობიერება, რომელიც ვრცელდება 650 სუ-დან იმ უმოკლეს ტილის სიგრძემდე, რომელსაც კიდევ ატარებს დედამიწის ატმოსფერო.

გამოყენებული ფოტოელემენტის პარამეტრები შემდეგია:

საერთო გრძნობიერება . . . . . 1850  $\mu\text{A/Lum}$

სასაზღვრო მარგი გრძნობიერება . . . . .  $7 \times 10^{-11} \text{ Lum}$

ბნელი დენი . . . . .  $1.3 \times 10^{-13} \text{ A}$

ფოტოდენი წინასწარ ძლიერდება ერთნათურიანი კომპენსირებული გამაძლიერებლით პენიკის<sup>13</sup> (Penick) სქემის მიხედვით. 1 ნახ-ზე მოცემულია მუდმივი დენის გამაძლიერებლის პრინციპული სქემა.

ფოტოელემენტის წრედში ჩართულია დიდი წინაღობა  $R = 5.4 \times 10^{10} \Omega$ . ამ წინაღობაში პოტენციალის დაცვა, რაც ფოტოდენის გავლით წარმოქმნება, მიყენებულია გამაძლიერებელი ნათურის მმართველ ბადეზე, რომელიც მოქმედებს ნათურის ანოდურ დენზე.

გალვანომეტრი  $G$  ჩართულია ბოგორში, რომელიც შედგება ერთი მხრივ ანოდური და სივრცითი მუხტის ბადის წრედების წინაღობებისაგან:  $R_p$ ,  $R_s$ , მეორე მხრივ—ნათურის შინაგანი წინაღობებისაგან: ვარგარის ძაფი—ანოდი და ვარევარის ძაფი—სივრცითი მუხტის ბადე. ამ სქემის განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ნათურის ყველა ელემენტისათვის ძაბვები და ძაფის გავარებება განხორციელებულია ერთი ბატარეით (12–14 V) და წინაღობათა კომბინაციით. ამ სქემის მიზანია ისე შეირჩეს სქემის ცალკეული ელემენტები, რომ ნათურის მკვებავი ბატარეის ძაბვის მცირე რხევების გავლენა გალვანომეტრზე მინიმალური იყოს. მუდმივი დენის გამაძლიერებლის დენური გაძლიერება ტოლია:


$$n = \frac{\Delta i_g}{\Delta i} = R S_g,$$

ე. ი. პროპორციულია ნათურის გრადაციისა \* და ფოტოელემენტის წრედში ჩართული დიდი წინაღობისა. ჩვენ მიერ გამოყენებული ელექტროფოტომეტრისათვის  $n = 2.0 \times 10^6$ . მუდმივი დენის გამაძლიერებელში გამოყენებულია ნათურია *EVD 96475 WECo*.

როდესაც დაკვირვება ხდება სხვადასხვა სიკაშვაშის ვარსკვლავებზე, გალვანომეტრის დაშუნტვით შესაძლებელია შეცვლილ იქნეს გამაძლიერებლის გრძნობიერება. გალვანომეტრის გრძნობიერება აღინიშნება წილადით  $R_{sh}/R_d$ , რაც შუნტის წინაღობისა და დამატებითი წინაღობის ფარდობას წარმოადგენს.

მიღებული გაძლიერებული დენები იზომება მაღალგრძნობიარე სარკიანი გალვანომეტრით. გალვანომეტრის გრძნობიერება ეტოლება 1770  $\Omega/\mu\text{A}$ .

\* გრადაციაში იგულისხმება  $S_g = \frac{\Delta i_g}{\Delta v}$ , სადაც  $i_g$  არის დენი გალვანომეტრში და  $v$ —გარაძლიერებელზე მიყენებული ძაბვა.



ნახ. 1 ცერტ.

ფოტოელემენტი, ნათურა და დიდი წინაღობა მოთავსებულია ვაკუუმში და მთელი სქემა ზედმიწვნით კარგად ეკრანირებულია. ფოტომეტრის კორპუსი, ეკრანები და მთელი 13" რეფლექტორი საგულდაგულოდ დამიწებულია.

ელექტროფოტომეტრს აქვს რამდენიმე სხვადასხვა სიდიდის დიაფრაგმა ცის იმ ნაწილის შემოსაფარგლავად, რომლის ფოტომეტრირებასაც ვახდენთ, სინათლის ფილტრები ს. გ. და ს. გ. ს. შიხედვით, კოლორიმეტრიული სამუშაოებისათვის და ფოტომეტრიული სტანდარტი, დამზადებული მნათი რადიოაქტიური შედგენილობისაგან.

ფოტომეტრიული სტანდარტის დაკვირვება საშუალებას ვაძლევს თვალყური ვადევნოთ ფოტომეტრის გრძნობიერების ზუსტ მუდმივობას.

პრაქტიკულად ყველა ფოტოელემენტს ახასიათებს ცოტად თუ ბევრად არიერთნაირი ზედაპირული გრძნობიერება. ამიტომ ვარსკვლავის ირასრულყოფილი მიყოლების გამო ობიექტის შემთხვევითი გადაადგილება იწვევს გარდა შეცდომებს. ამ შეცდომების თავიდან ასაკილებლად გამოყენებულია ფაბრი (Fabry) სქემა. უკანასკნელში რეფლექტორის შესასვლელი გუგა (პარაბოლური სარკვ), რომელიც განათებულია მნათი ობიექტით, ლინზის საშუალებით გეგმილდება ფოტოელემენტზე. ამგარად ფოტოკარიდი შეთავსებულია სისტემის შესასვლელ გუგასთან და ყოველთვის განითებულია ფოტოელემენტის ზედაპირის ერთი და იგივე ნაწილი.

მთელი ელექტროფოტომეტრიული დანადგარის სპექტრული გრძნობიერება დამკიდებულია ფოტოელემენტის სპექტრულ გრძნობიერებაზე, ფილტრების სპექტრულ გამჭვირვალობაზე და ოპტიკურ ნაწილებში სინათლის დანაკარგზე.

ელექტროფოტომეტრიული დანადგარის სელექტიური თვისებების ლაბორატორიული განსაზღვრის დროს შედებულია, რომ მისი ელემენტები ცალკე უნდა იქნეს გამოკვლეული.

გამოყენებული ელექტროფოტომეტრიული დანადგარის ფერითი თვისებები შესაძლებელია დახასიათებულ იქნეს იმ ტალღის სიგრძით, რომელიც შეესაბამება გამოყენებულ პარატურაში მაქსიმალურ მოქმედებას. ასეთ ტალღის სიგრძეს ეფიქტური ეწოდება და იგი შემდეგნაირად გამოისახება:

$$\lambda_{\text{eff}} = \frac{\int n(\lambda) d\lambda}{\int n(\lambda) d\lambda}$$

სადაც  $n(\lambda)$  წარმოადგენს ხელსაწყოს ჩერეკის მოცემული სინათლის შეაროს მონოქრომატულ გამოსხივებაზე.

ჩვენი ფოტომეტრის სელექტიური თვისებები გამოკვლეული იყო ვ. ნიკონოვის მიერ. სინათლის წყაროს მხე წარმოადგენდა. მონოქრომატორიდან გამოსული სინათლის ნაკადი იზმებოდა მოლის თერმოსკეტით. ფოტოელემენტის გამოკვლევის დროს სინათლის ნაკადი გეგმილდებოდა ფოტოელემენტზე ფაბრის მიერთების საშუალებით. ფოტოდენების გაზომვა ხდებოდა სარკიანი გალვანომეტრით.

მანძილი მონოქრომატორის გამოსავალ ხერელსა, ფაბრის ლინზასა და ფოტოელემენტს შორის ისე იყო შეტევული, რომ განათებული ყოფილიყო ფოტოელემენტის ზედაპირის იგივე ნაწილი, რაც მისი რეფლექტორზე დადგმის დროს გამოიყენება.

რადგანაც სპექტრის ხილულ უბანში მუშაობის დროს სინათლის ნაკადები დიდია, ამიტომ საჭირო იყო მონოქრომატორის შესავალ ხერელზე მზის არაფოკალური გამონასახის დაგეგმილება. თერმოდენები იზომებოდა მზის ფოკალური დაგეგმილების პირობებში.

რეფლექტორის ალუმინებული სარეკებიდან არეკვლის დროს სინათლის დანაკარგის განსაზღვრისათვის გამოკვლეული იყო ნესმიტის მხოლოდ ერთი ბრტყელი სარკვ, იმ დაშვებით, რომ შეტევითი არეკვლა სამივე სარკიდან ერთნაირია.

მონოქრომატორიდან გამოსული სინათლის ნაკადები ჯერ იზომებოდა ფოტოელემენტის მდებარეობისათვის მონოქრომატორის გამოსავალ ოპტიკურ ლერძე, შემდგომ სარკვ ისე იდგმებოდა, რომ განათებული ყოფილიყო ფოტოელემენტის იგივე ზედაპირი, რაც პირდაპირი გაზომვის დროს. არეკვლის კოეფიციენტი ტოლია გაზომილი არეკლილი და პირდაპირი სინათლის ნაკადების შეფარდებისა.

ელექტროფოტომეტრის სპექტრული გრძნობიერების გამოკვლევა ხდებოდა როგორც ფილტრებით, ისე უფილტროდ. ფილტრებით გამოკვლევის დროს ეს უკანასკნელი თავსდებოდნენ ფოტომეტრის კორპუსის სარკმლის წინ.

ამ გამოკვლევების საფუძველზე მიღებულია შემდეგი ფერითი სისტემა:

15000°-იანი ტემპერა- ტურისათვის	უფილტროდ λeff	უფილტროდ 420 მმ	ლურჯი ფილტრით 381 მმ	ყვითელი ფილტრით 527 მმ
------------------------------------	------------------	--------------------	-------------------------	------------------------------

ასეთმა ფართო ფერითმა სისტემამ საშუალება მოგვცა მიგველო სპექტრის ორ დაცილებულ უბანში U Ophichichi-ს სიკაშაშის ცვალებადობის მრუდი.

გამოყენებული ელექტროფოტომეტრის შეღწევის უნარი 8<sup>th</sup> რიგისაა. ელექტროფოტომეტრის შესახებ მონაცემები ამოღებულია ვ. ნიკონოვის<sup>14</sup> ხელნაწერი დისერტაციიდან.

დაკვირვებას ორი დამკირვებელი აწარმოებს. ერთი ვარსკვლავს მიაყოლებს მილს, ამოწმებს ელექტროფოტომეტრის ცენტრირებას მილის მიმართ და ცვლის სინათლის ფილტრებს, მეორე კი აწესრიგებს გამაძლიერებლის მუშაობას, ამოქმედებს საკეტს და იწერს გალვანომეტრის გადახრებს. დაკვირვების უურნალში იწერება დაკვირვების დაწყებისა და დამთავრების მომენტი ნულ-პუნქტი გადახრა და ნულ-პუნქტი გადახრის შემდეგ. სიზუსტისათვის წარმოებს რამდენიმე ანათვლის აღება ზედის და დამთავრების მომენტი იყო სქემა: 3 გადახრა—ყვითელ ფილტრში, 6 გადახრა—ლურჯ ფილტრში, 3 გადახრა—ყვითელ ფილტრში (3—6—3). დრო, რომელიც საჭიროა ერთი დაკვირვებისათვის სქემით 3—6—3 შეადგენს დაბლობით 8 წუთს. აქ შედის ის დროც, რომელიც საჭიროა მილის ვარსკვლავზე მიმართებსათვის და აგრეთვე ცენტრირების შემოწმებისათვის. ზენიტური მანძილების გამოთვლის სიმარტივისათვის დაკვირვების დამთავრების მომენტში

დაკვირვების უზრნალში იწერება საათიერი ქუთხე, ათვლილი რეფლექტორის საათიერ წრეზე. ვარსკვლავები იზომება სამუშაო დიაფრაგმაში. დიაფრაგმის დიამეტრი—3.0 მმ (2'4"). იმისათვის, რომ დაკვირვებები განთავისუფლდეს ფონის გავლენისაგან, ვარსკვლავის მახლობლად ფონის დიაფრაგმაში (დიამეტრი—6.9 მმ (4'42")) განისაზღვრება ფონის შესაბამი საშუალო გადახრა, დიაფრაგმების ურთიერთგადამყვანი კოეფიციენტები განსაზღვრულია ცალკული ფორმულით გაზომვების საშუალებით. საშუალო გადახრა ფონზე გადიყვანება სამუშაო დიაფრაგმაში და გამოაკლდება ვარსკვლავის შესაბამ გადახრას.

დაკვირვებისათვის გამოყენებული იყო მთვარიანი ლამებიც. ასეთ შემთხვევაში დაკვირვების მეთოდიკა განსხვავდება ზემოხსენებულისაგან. ნულპუნქტად ამ შემთხვევაში მიღებულია ფონის შესაბამი გადახრა. ვარსკვლავისა და ფონის შესაბამი გადახრების სხვაობა იძლევა ვარსკვლავის შესაბამ გადახრას. შესადარებელ ვარსკვლავებად გამოყენებული იყო ორი ვარსკვლავი.

ექსტრინქციის გამოსარიცხად შესადარებელ ვარსკვლავთან ერთად ხდებოდა დაკვირვება ფორმულით სტანდარტზე (ეტალონზე).

დაკვირვების შედეგები მოყვანილია I ცხრილში, სადაც მიმდევრობით მოცემულია: დაკვირვების იულიუსის პელიოდუნტრული მომენტი, ფაზა, შესადარებელი ვარსკვლავისა და ცვალებადი ვარსკვლავის სიკაშეთა სხვაობა ყვითელ და ლურჯ სხივებში, შესაბამისად. „შენიშვნების“ სვეტში აღნიშნულია სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც მოქმედებენ დაკვირვების ხარისხზე (ლრუბლები, ატმოსფეროს გამჭვირვალობა, საკეტის მუშაობა, ვაკუუმი და სხვა).

ცხრილი I Таблицა

JD <sub>○</sub>	φ	Δm <sub>ж</sub>	Δm <sub>е</sub>	შენიშვნა Примечание
2431 232.313	0.925	0.267	0.634	
.324	0.931	0.260	0.622	
243.389	0.528	-0.117	0.247	
.406	0.538	-0.110	0.374	
.417	0.545	0.062	0.412	
262.285	0.793	0.322	0.683	
.298	0.801	0.324	0.679	
263.375	0.443	0.187	0.580	
.393	0.455	0.149	0.529	
.455	0.491	-0.194	0.150	
.466	0.497	-0.280	0.069	
270.283	0.561	0.180	0.555	
.295	0.568	0.176	0.589	
.307	0.575	0.259	0.656	
301.269	0.034	-0.099	0.267	
.287	0.045	0.034	0.429	
.299	0.052	0.090	0.494	
.368	0.094	0.272	0.642	
302.277	0.636	0.326	0.677	
.288	0.642	0.302	0.692	
.348	0.678	0.314	0.668	
.358	0.683	0.323	0.682	

JD <sub>○</sub>	φ	Δm <sub>ж</sub>	Δm <sub>е</sub>	შენიშვნა Примечание
304.343	0.9867	0.243	0.706	დაკვირვება უვაკუუმოდ
.359	0.877	0.281	0.660	Наблюдения без вакуума
.372	0.883	0.297	0.682	
316.347	0.024	-0.230	0.127	
.357	0.030	-0.100	0.225	
317.251	0.563	0.181	0.565	
.260	0.568	0.224	0.572	
.273	0.575	0.247	0.617	
.343	0.618	0.291	0.648	
.353	0.624	0.287	0.646	
327.254	0.526	-0.152	0.289	
.279	0.541	0.048	0.406	
.301	0.555	0.140	0.505	
337.215	0.464	0.090	0.419	
.228	0.472	-0.021	0.360	
.240	0.479	-0.066	0.266	
.251	0.486	-0.186	0.133	
338.218	0.062	0.186	0.557	
.230	0.070	0.225	0.594	
.243	0.077	0.252	0.625	
.254	0.084	0.252	0.617	
.267	0.089	0.273	0.642	
.277	0.098	0.308	0.656	
532.493	0.886	0.316	0.676	
533.494	0.483	-0.142	0.245	
.508	0.491	-0.095	0.253	ვალვანომეტრის არასტაბილობა
.524	0.501	-0.267	0.090	
558.425	0.346	0.300	0.676	Нестабильность гальванометра
.452	0.362	0.300	0.660	
.463	0.369	0.312	0.672	
.495	0.388	0.294	0.668	
.507	0.395	0.294	0.668	
.517	0.401	0.297	0.669	
.527	0.407	0.287	0.666	
579.361	0.828	0.297	0.750	საკეტი ცუდად მუშაობდა
.377	0.837	0.301	0.711	Затвор работал плохо
.392	0.846	0.282	0.617	" "
.424	0.865	0.348	0.681	" "
.436	0.872	0.337	0.692	" "
.447	0.879	0.315	0.692	" "
583.344	0.202	0.338	0.699	" "
.356	0.209	0.340	0.700	" "
.368	0.216	0.323	0.693	" "
.409	0.241	0.300	0.670	" "
.435	0.256	0.330	0.694	" "
.446	0.263	0.344	0.724	" "
.468	0.276	0.310	0.678	" "
.479	0.283	0.306	0.697	" "
.491	0.290	0.313	0.703	" "
588.355	0.190	0.322	0.657	" "
.376	0.202	0.304	0.666	" "
.388	0.209	0.324	0.682	" "
.399	0.216	0.325	0.676	" "
.441	0.241	0.301	0.694	" "
.452	0.247	0.333	0.706	" "
.464	0.255	0.307	0.696	" "
.475	0.261	0.306	0.703	" "
.488	0.269	0.317	0.687	" "

JD <sub>○</sub>	φ	Δm <sub>ж</sub>	Δm <sub>с</sub>	შენიშვნა Примечание
589.412	0.820	0.311	0.680	
.437	0.835	0.306	0.698	
.447	0.841	0.301	0.694	
.458	0.848	0.290	0.678	
.469	0.854	0.283	0.657	
.479	0.860	0.299	0.675	
.489	0.866	0.299	0.668	
591.346	0.973	-0.034	0.319	
.356	0.979	-0.080	0.222	
.366	0.985	-0.172	0.190	
.375	0.991	-0.253	0.114	
.402	0.007	-0.391	-0.053	
.411	0.012	-0.363	-0.022	
.422	0.019	-0.314	0.030	
.437	0.028	-0.174	0.164	
.448	0.034	-0.090	0.247	
.458	0.040	-0.001	0.278	
.467	0.046	-0.005	0.355	
.478	0.052	0.099	0.448	
595.346	0.358	0.315	0.675	
.361	0.367	0.323	0.675	
.373	0.374	0.311	0.691	
.408	0.395	0.286	0.688	
.418	0.401	0.298	0.674	
.444	0.417	0.292	0.663	
.447	0.421	0.298	0.648	
.458	0.425	0.280	0.652	
596.361	0.963	0.079	0.407	
.371	0.969	0.022	0.371	
.383	0.976	-0.069	0.318	
.395	0.984	-0.146	0.204	
.425	0.001	-0.329	0.024	
.450	0.016	-0.356	0.005	
.479	0.030	-0.079	0.250	
609.339	0.700	0.318	0.669	
.349	0.706	0.313	0.696	
.360	0.712	0.295	0.686	
.371	0.719	0.300	0.696	
.383	0.726	0.341	0.694	საკეტი ცუდად მუშაობდა
.393	0.732	0.329	0.704	Затвор работал плохо
.404	0.739	0.306	0.690	
.415	0.745	0.310	0.700	
.428	0.753	0.309	0.751	
.439	0.760	0.334	0.717	
.449	0.766	0.332	0.682	
.459	0.771	0.339	0.695	
610.333	0.292	0.312	0.704	
.343	0.298	0.311	0.728	
.355	0.306	0.296	0.653	
.387	0.325	0.288	0.674	
.397	0.331	0.298	0.673	
.408	0.337	0.294	0.676	
.419	0.344	0.319	0.698	
.432	0.352	0.293	0.680	
.441	0.357	0.331	0.669	
621.313	0.839	0.284	0.682	
.323	0.845	0.292	0.681	
.334	0.851	0.303	0.666	

JD <sub>○</sub>	φ	Δm <sub>ж</sub>	Δm <sub>с</sub>	შენიშვნა Примечание
621.344	0.857	0.313	0.678	
635.304	0.180	0.308	0.685	
.314	0.186	0.297	0.696	
.323	0.191	0.301	0.680	
645.289	0.133	0.276	0.632	
.302	0.140	0.324	0.685	
.321	0.152	0.304	0.694	
.333	0.159	0.307	0.670	
.343	0.165	0.313	0.668	
.353	0.171	0.315	0.695	
.364	0.177	0.320	0.693	
.375	0.184	0.328	0.674	
.385	0.190	0.308	0.687	
.395	0.196	0.313	0.656	
.407	0.203	0.316	0.689	
.416	0.208	0.326	0.672	
.426	0.214	0.345	0.640	დაკვირვების დასასრული გაჩნ-
.436	0.220	0.270	0.681	და ღრუბლები
.449	0.228	0.297	0.695	К концу наблюдений появи- лись облака
648.287	0.920	0.268	0.653	
.297	0.926	0.292	0.642	
.307	0.932	0.265	0.653	
.329	0.946	0.225	0.583	
.342	0.953	0.130	0.512	
.351	0.958	0.095	0.441	
.363	0.965	0.016	0.406	
.371	0.970	-0.009	0.326	
.381	0.976	-0.046	0.302	
.389	0.982	-0.100	0.232	
665.264	0.042	-0.075	0.344	
.275	0.048	0.010	0.436	
.284	0.053	0.066	0.497	
.292	0.059	0.138	0.487	
.303	0.065	0.210	0.554	
.312	0.070	0.222	0.589	
.323	0.077	0.250	0.603	
.333	0.083	0.304	0.641	
.354	0.095	0.296	0.642	
.366	0.101	0.321	0.662	
.376	0.109	0.320	0.682	
666.269	0.641	0.316	0.677	
.278	0.646	0.318	0.670	
.289	0.653	0.300	0.672	
.299	0.659	0.335	0.700	
.308	0.664	0.340	0.676	
.318	0.670	0.339	0.728	
.329	0.677	0.317	0.676	
.340	0.683	0.318	0.676	
.349	0.689	0.309	0.658	
.358	0.695	0.301	0.642	
.369	0.701	0.292	0.655	
.379	0.707	0.334	0.638	გაფვანომეტრის არასტაბი- ლობა
668.263	0.830	0.318	0.665	Нестабильность гальвано- метра
.274	0.836	0.297	0.654	
.284	0.842	0.274	0.648	
.293	0.848	0.276	0.653	
.305	0.855	0.273	0.637	
.315	0.861	0.273	0.662	

JD <sub>○</sub>	φ	Δt <sub>ж</sub>	Δt <sub>с</sub>	Задача Примечание
668.328	0.869	0.278	0.621	
.337	0.874	0.259	0.410	Следующий путь
.350	0.882	0.257	0.637	На юге облака
.364	0.890	0.310	0.637	
675.266	0.005	-0.382	0.044	
.279	0.013	-0.350	-0.008	
.289	0.019	-0.266	0.062	
.302	0.026	-0.188	0.155	
.314	0.033	-0.086	0.239	
.325	0.040	-0.045	0.296	
.336	0.047	0.027	0.382	
679.277	0.397	0.308	0.675	
.290	0.404	0.308	0.663	
.300	0.410	0.304	0.659	
.310	0.416	0.292	0.652	
692.233	0.120	0.283	0.662	
.242	0.126	0.304	0.628	Задача бортовой архивации
.251	0.131	0.291	0.658	
.260	0.136	0.282	0.646	
.269	0.142	0.267	0.626	
697.237	0.104	0.290	0.650	
.256	0.115	0.272	0.656	
.266	0.121	0.264	0.623	
.275	0.126	0.290	0.621	
698.243	0.703	0.330	0.704	
.252	0.709	0.320	0.632	
.259	0.713	0.315	0.655	
.266	0.717	0.294	0.681	
.277	0.724	0.331	0.686	
.284	0.728	0.319	0.708	
699.230	0.292	0.309	0.686	
.239	0.297	0.307	0.698	
.266	0.313	0.290	0.636	
701.234	0.486	-0.126	0.163	
.242	0.491	-0.162	0.162	
.251	0.497	-0.225	0.138	
.257	0.500	-0.267	0.103	
.268	0.507	-0.320	0.042	
.275	0.511	-0.289	0.061	
.283	0.516	-0.310	0.100	
711.211	0.434	0.270	0.646	
.220	0.440	0.226	0.607	
.229	0.445	0.195	0.554	
.239	0.451	0.169	0.516	

დაკვირვებათა დამუშავება, ორი ვარსკვლავის ვარსკვლავიერ  
სიდიდეთა დაკვირვებით განსაზღვრული სხვაობა გამოითვლება ფორმულით:

$$\Delta m = -2.5 \lg \frac{\overline{\Delta n_1}}{\overline{\Delta n_2}},$$

სადაც  $\overline{\Delta n}_1$  და  $\overline{\Delta n}_2$  გალვანომეტრის საშუალო გადახრებია, რომლებიც შეიძლება მოქმედი სინათლის ნაკადების პროპორციულად ჩაითვალოს.

აუცილებელია ვარსკვლავების სიკაშკაშეთა მიღებული სხვაობის განთავისუფლება დედამიწის ატმოსფეროს გავლენისაგან. შთანთქმის დიფერენციალური შესწორება განისაზღვრება ფორმულით:

$$\Delta m = \Delta m_{0,b} - \alpha F(\zeta), \quad (1)$$

სადაც  $\Delta m$  არის ვარსკვლავთ სიკაშვაშეების ნამდვილი სხვაობა,  $\Delta m_{0\alpha}$ —სიკაშვაშეების დაკვირვებული სხვაობა,  $\alpha$ —ექსტინქციის ფაქტორი,  $F$ —ზენიტური განძილების ფუნქცია:

$$F = \sec \zeta_1 - \sec \zeta_2$$

ეს ფუნქცია ტაბულირებულია და მისი მონახვა შეიძლება Handbuch der Astrophysik-ში. ვარსკვლავების ზენიტური მანძილები გამოითვლება ფორმულით:

$$\cos \zeta = \sin \varphi \sin \delta + \cos \varphi \cos \delta \cos \Theta$$

ფოტომეტრი ზომავს  $\Delta_{\text{phot}}$ ,  $\Delta_{\text{III}}$  შესაძლებელია განსაზღვრულ იქნეს (1)-დან, თუკი ცნობილია ექსტინქციის ფაქტორი  $\alpha$ . ელექტროფორომეტრიული დაკვირვებების დროს შეტაღ მნიშვნელოვანია ატმოსფერული ექსტინქციის ზუსტი აღრიცხვა.

ცვალებადი ვარსკვლავების ელექტროფორმეტრიული ღაყვირვებები-  
სათვის ექსტინგუის ფაქტორის განსაზღვრის ზუსტი მეთოდები დამუშავებუ-  
ლია სმარტის<sup>15, 16</sup> (Smart) მიერ.

ს მარტის მეთოდები გათვალისწინებულია ფოტოდენების დამუხტვის შე-  
თოვით გაზომვების შემთხვევისათვის. რაღაც ჩენ მიერ გამოყენებული ფო-  
ტომეტრით დაკვირვების დროს ფოტოდენების გაზომვა ხდება არა დამუხტ-  
ვის მეთოდით, არამედ მუდმივი გადახრის მეთოდით, ამიტომ ამ მეთოდებს  
მოიიყანთ ჩვენი შემთხვევისათვის.

პირველი მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: ორჯერ ხდება დაკვირვება ერთისა და იმავე ფერის ორ ვარსკვლავზე. ამ დაკვირვებებს შორის დროის შუალედი ისეთი უნდა იყოს, რომ სხვაობა  $F_2 - F_1$  იყოს 0.4 ან 0.5. ეს ვარსკვლავები ისე უნდა შეიძინოს, რომ როდესაც ერთი მათგანი მერიდიანშია, მეორე უნდა ამოდიოდეს. თუ  $\Delta\pi_1$  და  $\Delta\pi_2$ -ით აღვნიშნავთ ამ ორი ვარსკვლავის უნდა ამოდიოდეს. სიდიდეთა დაკვირვებულ სხვაობებს, პირველ და მეორე მომენტში, შესაბამისად, მაშინ

$$\Delta m = \Delta m_1 - \alpha F_1$$

$$\Delta m = \Delta m_2 - \alpha F_2$$

თუ ამ განტოლებებიდან გამოვრიცხავთ  $\Delta m$ -ს, მივიღებთ

$$\alpha = \frac{\Delta m_2 - \Delta m_1}{F_2 - F_1}, \quad (2)$$

ლია განვიხილოთ როგორც ექსტინქციის ფაქტორის დამახასიათებელი სიდიდე დაკვირვების პერიოდში.

ზემოთ განხილული მეთოდი სპეციალურ დაკვირვებებს მოითხოვს. მეთოდი, რომლის განხილვაზედაც ახლა გადავდივართ, ემყარება შესაძარებელი ვარსკვლავის დაკვირვებებს იმ პირობით, რომ ამ ვარსკვლავის ზენიტური მანძილი  $40^{\circ}$ -ის მიხლობლობაშია ან ზეტია და საქმარისად სწრაფად იცვლება. გარდა ამისა, დაშვებულია, რომ: 1) დაკვირვების განმავლობაში ფოტომეტრის გრძნობიერება მუდმივი რჩება, 2) ატმოსფეროს გამჭვირვალობა არ იცვლება, ე. ი. ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ა მუდმივი დენის გამაძლიერებლის შემთხვევაში სინათლის ნაკადებსა და გალვანომეტრის გადახრებს შორის ადგილი აქვს შემდეგ დამოკიდებულებას:

$$\frac{I_0}{I} = \frac{n_0}{n},$$

სადაც  $n_0$  არის გალვანომეტრის გადახრა, როგორიც გვიქნებოდა, რომ არ ყოფილყო ატმოსფეროს გავლენა. ამასთანავე გვაქვს:

$$\lg \frac{n_0}{n} = \frac{2}{5} \alpha \sec \chi.$$

თუ  $n+dn$  არის  $\chi+dx$  ზენიტური მანძილის შესაბამი გადახრა, მაშინ

$$\frac{dn}{n} = \frac{2}{5} \alpha \sec \chi \lg \frac{n_0}{n} d\chi. \quad (3)$$

$\frac{\Delta n}{n}$  იზომება ფოტომეტრით, ამიტომ  $\alpha$  შესაძლებელია განსაზღვრულ იქნეს (3)-დან, იმისათვის, რომ  $d\chi$ -თვის მივიღოთ დასაშვები სიდიდე, საქმარისია დროის შუალედი 10 წუთი.

შემდეგი მეთოდით შესაძლებელია განსაზღვრულ იქნეს ექსტინქციის ფაქტორი სპეციალური დაკვირვებების გარეშე. ეს მეთოდი არ არის დამოკიდებული შესაძარებელი ვარსკვლავის ზენიტურ მანძილთან დაკავშირებულ სპეციალურ პირობებზე. იგი არ არის დამოკიდებული არც დაკვირვების განმავლობაში გამჭვირვალობის ცვალებადობაზე; მას დიდი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც ატმოსფეროს ცვლილებები სწრაფია და მნიშვნელოვანი.

მეთოდის არსი ძირითადად დამოკიდებულია ფოტომეტრის გრძნობიერების უცვლელობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ გამოსხივების მოცუმული რაოდენობისათვის გალვანომეტრის გადახრა მუდმივია და არ არის დამოკიდებული ინსტრუმენტის გრძნობიერებაზე. მოცუმული შესაძარებელი ვარსკვლავისათვის  $n$ -ის ცვლილება დამოკიდებულია ატმოსფეროს გამჭვირვალობაზე და ზენიტურ მანძილზე. თუ  $n_1$ -ით აღვნიშნავთ გალვანომეტრის გადახრას, როდესაც ექსტინქციის ფაქტორი არის  $\alpha_1$  და ზენიტური მანძილი  $\chi$ , გვიქნება:

$$\lg \frac{n_0}{n_1} = \frac{2}{5} \alpha_1 \sec \chi.$$

სხვა ლამეს, როდესაც ექსტინქციის ფაქტორი არის  $\alpha_2$  და გადახრა  $n_2$ , იმავე ზენიტური მანძილისათვის გვექნება:

$$\lg \frac{n_0}{n_2} = -\frac{2}{5} \alpha_2 \sec \chi.$$

ამ ორი განტოლების საფუძველზე ვლებულობთ:

$$\begin{aligned} \lg n_1 - \lg n_2 &= \frac{2}{5} \sec \chi (\alpha_2 - \alpha_1), \\ \alpha_2 &= \alpha_1 + \frac{5}{2} \lg \frac{n_2}{n_1} \cos \chi. \end{aligned} \quad (4)$$

$\alpha_1$ -ს ვლებულობთ ექსტინქციის ფაქტორის სტანდარტულ მნიშვნელობად, რომელიც განსაზღვრულია რომელიმე სხვა მეთოდით, მაგალითად პირველი მეთოდით. მოცუმული ვარსკვლავისათვის რამე ზენიტურ მანძილზე ( $\text{მაგ. } \chi=0$ ) ამ სტანდარტულ სიდიდესთან დამოკიდებულებით გვექნება აგრეთვე სტანდარტული მნიშვნელობა  $n_1$ . ამის შემდეგ უკვე აღარავითარ სიძნელეს არ წარდარტული მნიშვნელობა  $n_1$  ამონ შეიძლება შესრულდეს შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$\lg \frac{n'}{n} = \frac{2}{5} \alpha (\sec \chi - 1).$$

აქ  $n'$  შეესაბამება  $\chi=0$ -ს.

თუ ამ სტანდარტებს ჩავთვლით ცნობილია, (4)-დან აღვილად მოიძებნება ექსტინქციის ფაქტორის მნიშვნელობა  $\alpha_2$  ნებისმიერი მომენტისათვის. შესაძლებელია შედგენილ იქნეს ცხრილი  $(\alpha_2 - \alpha_1)$  — მნიშვნელობებისა  $\chi$  და  $\frac{n_1}{n}$  — სიდიდეებზე დამოკიდებულებით.

$n_2$  შემდეგ მეთოდშიაც ინსტრუმენტის გრძნობიერება ისევე უცვლელი იგულისხმება. როგორც წინათ, გვაქვს:

$$\lg \frac{n_0}{n} = \frac{2}{5} \alpha \sec \chi,$$

$$\lg n - \lg n_0 = -\frac{2}{5} \alpha \sec \chi.$$

აღვნიშნოთ  $\lg n_0 = \chi$ , მაშინ:

$$\lg n - \chi = -\frac{2}{5} \alpha \sec \chi. \quad (5)$$

ერთდროულად ხდება დაკვირვება ორ ვარსკვლავზე, რომელთა პირდაპირი განსხვავდებიან ერთიმეორებულად 4—5 საათით და იღვლენანი განსხვავდებიან

$$\lg n_1 - \chi_1 = -\frac{2}{5} \alpha \sec \chi_1,$$

$$\lg n_2 - \chi_2 = -\frac{2}{5} \alpha \sec \chi_2.$$

თუ ამ განტოლებებიდან გამოვრიცხავთ  $\alpha$ -ს, მივიღებთ:

$$\chi_1 \cos \zeta_1 - \chi_2 \cos \zeta_2 = \cos \zeta_1 \lg n_1 - \cos \zeta_2 \lg n_2. \quad (6)$$

(6) არის ძირითადი განტოლება, რომელსაც ეყრდნობა ეს მეთოდი. ერთი ან ორი საბოლოო შემდეგ ისევ ხდება ამ ვარსკვლავების დაკვირვება და ვლებულობთ მსგავს განტოლებას ახალი სიდიდეებით  $\zeta_1$ ,  $\zeta_2$ ,  $n_1$ ,  $n_2$ . ასე რომ შესაძლებელია განსაზღვრულ იქნეს  $\chi_1$ ,  $\chi_2$ .

დავუშვათ, რომ  $\tau$  აღნიშნავს გალვანომეტრის გადახრას  $0^\circ$ —ზენიტური მანძილისა და ექსტრინჯიის ფაქტორის სტანდარტული მნიშვნელობისათვის  $\alpha$ - მაშინ:

$$\begin{aligned} \lg \frac{\tau}{n_0} &= -\frac{2}{5} \alpha_0, \\ \lg \tau - \chi &= -\frac{2}{5} \alpha_0, \end{aligned} \quad (7)$$

სადაც იგულისხმება, რომ  $\chi$  ცნობილია (6) სახის რამდენიმე განტოლების გადაწყვეტით.

თუ  $\alpha$ -თვის ავიღებთ სტანდარტულ მნიშვნელობას, (7)-დან შეიძლება განისაზღვროს  $\tau$ , (5)-დან და (7)-დან გვაქვს:

$$\alpha = \frac{5}{2} \cos \zeta \lg \frac{\tau}{n} + \alpha_0 \cos \zeta.$$

ამ ფორმულით ნებისმიერი მომენტისათვის შეიძლება განისაზღვროს  $\alpha$ , თუ გვეციდინება  $\tau$ ,  $\zeta$  და  $n$ .

ჩვენი ინსტრუმენტით დაკვირვების დროს, როდესაც საკმარისია ექსტრინჯიის ფაქტორის „საშუალო“ მნიშვნელობის ცოდნა, მოყვანილი მეთოდებიდან შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირველი. იმ შემთხვევაში კი, როდესაც საჭიროა ექსტრინჯიის ფაქტორის უფრო ზუსტი მნიშვნელობა, თითოეული მომენტისათვის მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს მესამე მეთოდი, რომელიც არ მოითხოვს სპეციალურ დაკვირვებებს.

დაკვირვებების სტანდარტისაცია ჩვენს ინსტრუმენტზე შესაძლებელია ფორმეტრიული სტანდარტის საშუალებით.

თუ ეტალონის შესაბამის რომელიმე გადახრას მივიღებთ ძირითადად და თუ ეტალონის სხვა დაკვირვებისათვის გადახრა შეიცვლება, მაშინ ვარსკვლავის გადახრაში შეგვაქვს შესაბამი შესწორება. ასე რომ ინსტრუმენტის გრძნობიერება შეგვიძლია მუდმივად ჩავთვალოთ.

პირველი მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგნაირად. ცვალებადი ვარსკვლავის დაკვირვების დროს შესაბარებელ ვარსკვლავთან ერთად ეტალონის დაკვირვებაც ხდება.

თუ გარკვეულ მომენტში შესაბარებელი ვარსკვლავისა და ეტალონის ვარსკვლავიერ სიდიდეთა სხვაობას აღვნიშნავთ  $\Delta m_1$ -ით, და რაღაც დროის წუალედის შემდეგ ( $2-2^1/2$ )- $\Delta m_2$ -ით, მაშინ

$$\Delta m = \Delta m_1 - \alpha \sec \zeta_1,$$

$$\Delta m = \Delta m_2 - \alpha \sec \zeta_2.$$

ამ განტოლებებიდან ვღებულობთ:

$$\alpha = \frac{\Delta m_1 - \Delta m_2}{\sec \zeta_1 - \sec \zeta_2}. \quad (8)$$

დიდი ზენიტური მანძილებისათვის ( $\zeta > 70^\circ$ ) სმარტი გვაძლევს უფრო ზუსტ ფორმულას, ვიდრე (1):

$$\Delta m = \Delta m_0 - \alpha \Phi(\zeta), \quad (9)$$

სადაც:  $\Phi(\zeta) = \sec \zeta - 0.003 \sec^3 \zeta$ .

3. კულიკოვსკის<sup>17</sup> მიერ დამუშავებულია მეთოდი, რომლითაც განისაზღვრება ექსტრინჯიის ფაქტორის მნიშვნელობა დროის მოცემულ მომენტში და ცის თაღის მოცემულ უბანში, შესაბარებელ ვარსკვლავთან ერთად ფოტომეტრიული სტანდარტის დაკვირვების საფუძველზე.

შესაბარებელი ვარსკვლავისა და ფოტომეტრიული სტანდარტის სიკაშკაშეთა დაკვირვებული სხვაობა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს (1) ფორმულით.

**კ** დაკვირვების ღამის განმავლობაში გვექნება რამდენიმე  $\Delta m_{0\alpha}$ . ვღებულობთ (1) ტიპის რამდენიმე განტოლებას ორი უცნობით. ამ განტოლებათა გადაწყვეტა უმცირეს კვადრატთა მეთოდით საშუალებას გვაძლევს ვიპოვთ **ი** სიკაშკაშეთა ნამდვილი სხვაობა  $\Delta m$ , მთელი დაკვირვების განმავლობაში ექსტრინჯიის ფაქტორის რაღაც საშუალო მნიშვნელობის დაშვებით. რამდენიმე **ე** ასეთი  $\Delta m$ , მიღებული დაკვირვების სხვადასხვა ღამეს, მოგვცემს უფრო ზუსტს **ა** საშუალო მნიშვნელობას, რომელიც შემდგომ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მომენტისათვის  $\alpha$  მნიშვნელობის მიღებისათვის. ამგვარად მიღებული **ი** დაახასიათებს ატმოსფეროს მდგომარეობას მოცემულ მომენტში, მოცემული მიმართულებით.

კ კანობილზე წარმოებულმა ელექტროფოტომეტრიულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა გამკვირვალობის ფოტომეტრიული სტაბილობა. დაკვირვების განმავლობაში (4—5 ს) ექსტრინჯიის ფაქტორის რყევა მისი საშუალო მნიშვნელობის მიმართ  $0.0020$  არ აღემატება.

შესაბარებელი ვარსკვლავები მდებარეობენ საკმარისად ახლოს *U Ophichthi*-ს მიმართ. ჰაერის მასების შესაძლებელი მაქსიმალური სხვაობა 0.150 რიგისაა. ეს ნიშნავს, რომ დაკვირვების განმავლობაში ექსტრინჯიის ცვლილებით გამოწვეული შესწორება ექსტრინჯიაზე არ აღმატება  $0.003$ , რაც დაკვირვების ცდომილების ფარგლებშია. ამის გამო ჩვენ დავკმაყოფილდით დაკვირვების ღამეს ექსტრინჯიის ფაქტორის საშუალო მნიშვნელობის განსაზღვრით. რადგანაც დაკვირვებები ხდებოდა ზენიტურ მანძილებზე არა უმეტეს  $70^\circ$ -ისა, ამიტომ გამოვიყენეთ ფორმულა (1).

შესაბარებელ ვარსკვლავთან ერთად ხდებოდა დაკვირვება ფოტომეტრიული სტანდარტისა. (1) ტიპის 4—5 განტოლება უმცირეს კვადრატთა მეთოდით ამოიხსნებოდა  $\Delta m$ -ისა და  $\alpha$ -ის მიმართ. განტოლებები ყვითელი და ლურჯი სხივებისათვის ცალ-ცალკე ამოიხსნებოდა.

2. აბასთ, ასტროფიზ. ობსერვ. ბიულ., № 10



დაკვირვების იმ ღამეებისათვის, რომლებისთვისაც არ არის შილებული ფოტომეტრიული სტანდარტის დაკვირვებათა საჭირო რიცხვი, გამოვყენეთ ექსტინქციის ფაქტორის საშუალო მნიშვნელობა სეზონისათვის, რაც გამოყანილია ექსტინქციის ფაქტორის II ცხრილში მოყვანილი ცალკეული მნიშვნელობებისაგან.

ცხრილი II თაბლიца

	$\alpha_{\text{ж}}$	$\alpha_{\text{в}}$
1945, 7/V	0°174	0°367
12/V	0.163	0.361
15/V	0.174	0.333
19/V	0.165	0.341
20/V	0.167	0.375
29/VII	0.168	0.342
7/VIII	0.200	0.400

საშუალო  
Среднее  $\alpha_{\text{ж}} = 0^{\circ}173$ ,  $\alpha_{\text{в}} = 0^{\circ}360$

ცხრილი III თაბლიца

აღნიშნა Обозначение	BD	სპექტრი Спектр
a	+2°3283	A <sub>0</sub>
b	+1°3411	F <sub>0</sub>

ცველა დაკვირვება მიყვანილია a-ზე. ამისათვის 1944—1945 წლების დაკვირვებათა საფუძველზე განსაზღვრული იყო სიკაშეთა სხვაობა  $\Delta m(b, a) = m_b - m_a$ , ყვითელ და ღურჯ სხივებში. გამოყენებული იყო ის დაკვირვებები, რომლებიც თავისუფალნი იქნენ შესაძლებელ დაბრკოლებათა გავლენისაგან (გამჭვირვალობის ცვლილებანი, ღრუბლები და სხვა). a-სა და b-ს სიკაშეთა სხვაობის განსაზღვრის შედეგები მოყვანილია IV ცხრილში. ამ ცხრილის საფუძველზე მიღება შესაძარებელი ვარსკვლავების სიკაშეთა სხვაობის შემდეგი მნიშვნელობანი:

$$\Delta m_{\text{ж}}(b, a) = 0.705 \pm 0.004 \quad (1944),$$

$$\Delta m_{\text{ж}}(b, a) = 0.701 \pm 0.006 \quad (1945),$$

ცველა დაკვირვების ფაქტორი  $\alpha = 2.5$  1g  $\rho$ , სადაც  $\rho$  ექსტინქციის კოეფიციენტია. ის განისაზღვრება როგორც სხვაობა  $\alpha = \alpha_{\text{ж}} - \alpha_{\text{в}}$ . თუ ვისარგებლებთ ა. და  $\alpha_{\text{ж}} - \alpha_{\text{в}}$ -ის ზემოთ მიღებული მნიშვნელობებით, გაშინ ფერითი ექსტინქციის ფაქტორის საშუალო მნიშვნელობისათვის კლებულობა:

$\alpha = 0^{\circ}187$ .

*U Ophiuchi*-ს დაკვირვების დროს შესაძარებელ ვარსკვლავებად გამოყენებული იყო ორი ვარსკვლავი: HD 156208 და HD 156458 (იხ. ცხრილი III).

ცველა დაკვირვება მიყვანილია a-ზე. ამისათვის 1944—1945 წლების დაკვირვებათა საფუძველზე განსაზღვრული იყო სიკაშეთა სხვაობა  $\Delta m(b, a) = m_b - m_a$ , ყვითელ და ღურჯ სხივებში. გამოყენებული იყო ის დაკვირვებები, რომლებიც თავისუფალნი იქნენ შესაძლებელ დაბრკოლებათა გავლენისაგან (გამჭვირვალობის ცვლილებანი, ღრუბლები და სხვა). a-სა და b-ს სიკაშეთა სხვაობის განსაზღვრის შედეგები მიღება შესაძარებელი ვარსკვლავების სიკაშეთა სხვაობის შემდეგი მნიშვნელობანი:

$$\Delta m_{\text{ж}}(b, a) = 0.880 \pm 0.003 \quad (1944),$$

$$\Delta m_{\text{ж}}(b, a) = 0.873 \pm 0.005 \quad (1945).$$

ცველა დაკვირვება, რომლებიც მიღებულია b—შესაძარებელი ვარსკვლავით, მიყვანილია a-ზე, ზემოთ მოყვანილ სიკაშეთა სხვაობების საფუძველზე.

ექსტინქციის გავლენისაგან თავისუფალი ფერითი ეკვავალენტების მისაღებად ფერითი ეკვივალენტების დაკვირვებული მნიშვნელობანი გატანილნი უნდა იქნენ ატმოსფეროს გარეთ. რადგანაც ექსტინქციაზე შეძლება საგრძნობ სიდიდეებს აღწევდეს (*U Ophiuchi*-სთვის 0°3-დან 0°4-მდე), ამიტომ არ შეძლება ექსტინქციის ფაქტორის საშუალო მნიშვნელობებით სარგებლობა.

ცხრილი IV თაბლიца

JD	Ж $\Delta m_{\text{в}}$ , в	C $\Delta m_{\text{в}}$ , в
1944		
2431232	0°708	
2431243	0.701	0°883
2431244	0.705	0.878
2431270	0.704	0.879
2431301	0.711	0.880
2431317	0.699	0.872
2431327	0.708	0.877
2431262		
1945		
2431579	0.695	0.873
2431668	0.707	0.878
2431677	0.697	0.866
2431698	0.695	0.870
2331699	0.709	0.868

ექსტინქციის ფაქტორის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის დაკვირვების ღამის ნებისმიერი მომენტისათვის გამოყენებული იყო ფორმულა:

$$\alpha(t) = \frac{c(z, t) - c_0}{F(z)}, \quad (10)$$

სადაც  $\alpha(t)$  ექსტინქციის ფაქტორის მნიშვნელობა  $t$ -მომენტში,  $c_0$ —ფერის ექვივალენტის ატმოსფეროს გარეშე მნიშვნელობა,  $c(z, t)$ — $z$  ზენიტურ მანძილზე დაკვირვებით მიღებული მნიშვნელობა  $t$  მომენტში,  $F(z)$ —შესაბამი ჰაერის მასა.

დაკვირვების ღამის განმავლობაში შესაძლებელი ვარსკვლავის 5—6 დაკვირვების საფუძველზე ვლებულობდით ექსტინქციის

ფაქტორის ცვლილების მრუდს დროის მიხედვით. მაგრამ (10)-ის გამოყენებისათვის აუცილებელია შესაძარებელი ვარსკვლავის ფერის ეკვივალენტის ატმოსფეროს გარეშე მნიშვნელობის ცოდნა. მისი განსაზღვრისათვის რამდენიმე ღამეს, ღამეში 3—4-ჯერ, ხდებოდა *HD 144206*—ვარსკვლავის დაკვირვება. ეს ვარსკვლავი,  $B_8 - B_9$  ვარსკვლავების ელექტროკოლორიმეტრის დროს, ვ. ნიკონოვის მიერ გამოყენებული იყო როგორც სტანდარტული; ამიტომ მისი ფერითი ეკვივალენტი მაღალი სიზუსტითა განსაზღვრული. მისი ატმოსფეროსგარეშე ფერითი ეკვივალენტი არის  $c_0 = -0^{\circ}782$ . ნებისმიერი მომენტისთვის  $t$  *HD 144206*—ვარსკვლავის ფერის ეკვივალენტის შესაბამი ექსტინქციის ფაქტორის მნიშვნელობის განსაზღვრა ხდებოდა ზემოთ აღწერილი მეთოდის მიხედვით.

$B_8 - B_9$  ვარსკვლავების ფერის ეკვივალენტების კატალოგის შედგენის დროს ვ. ნიკონოვი მხედველობაში ლებულობდა ექსტინქციის ფაქტორის დამკიდებულებას ფერის ეკვივალენტზე  $\gamma = \frac{da}{dc_0}$  და მისი მნიშვნელობა მიღებული სპეციალურ ელექტროკოლორიმეტრიულ დაკვირვებათა საფუძველზე.  $\gamma = 0^{\circ}0067$ , მთელი ცისთვის ერთნაირი ექსტინქციის დაშვებით.

ამ მნიშვნელობის გამოყენებით, ექსტინქციის ფაქტორის განსაზღვრა შესაძარებელი ვარსკვლავისათვის ხდებოდა ფორმულით:

$$\alpha_*(t) = \alpha(t) + \gamma(c_{0*} - c_0), \quad (11)$$

სადაც  $\alpha_*$  და  $c_{0*}$  ექსტინქციის ფაქტორისა და ფერის ეკვივალენტის ატმოსფეროსგარეშე მნიშვნელობებია შესაძარებელი ვარსკვლავისათვის.

რადგანაც  $c_0$  უცნობია, ამიტომ  $\alpha_*(t)$ -ს განსაზღვრა ხდებოდა მიმდევრობითი მიახლოებით.

შესადარებელი ვარსკვლავის ატმოსფეროსგარეშე ფერითი ეკვივალენტის გამოთვლა ხდებოდა ფორმულით:

$$c_0 = c_*(z, t) - \alpha_*(t) F(z) \quad (12)$$

გას შემდეგ კი, რაც შესადარებელი ვარსკვლავის ატმოსფეროსგარეშე ფერის ეკვივალენტის ასეთი რამდემინ განსაზღვრის საფუძველზე მივიღეთ ზესი საშუალო ზნიშვნელობა  $c_{*0} = -0.298 \pm 0.007$ , ცვალებადი ვარსკვლავის დაწერილ მავე (11) და (12) ფორმულების საფერველზე განვსაზღვრეთ სათვის დაწერილ მავე (11) და (12) ფორმულების საფერველზე განვსაზღვრეთ სათვის დაწერილ მავე (11) და (12) ფორმულების ეკვივალენტის ატმოსფეროსგარეშე მნიშვნელობა.

V ცხრილში მოყვანილია დაკვირვების სხვადასხვა ღამისათვის განსაზღრული ცვალებადი ვარსკვლავის ატმოსფეროსგარეშე ფერის ეკვივალენტები.

ცხრილი V თაბლიца

	$\bar{\varphi}$	$c_0$	ფერის ეკვივალენტის მნიშვნელობა ფაზისთვის 0.000, $c_0 = -0.684 \pm 0.006$ , ნაკლებია, ვიდრე მისი მნიშვნელობა სხვა ფაზებისათვის. ჩვენი ინსტრუმენტით მიღებული ფერითი ეკვივალენტის მნიშვნელობის სტებინსის (J. Stebbins) სისტემაში გადასაყვანად ვ. ნიკონოვმა მიიღო სარედუქციო ფორმულა:
1944, 21.V	0.928	-0.740	$c_0^{(S)} = 0.167 + 0.388 c_0^{(N)} + 0.017 F(z_{\min})$ .
1.VI	0.537	-0.739	
20.VI	0.797	-0.713	
28.VI	0.568	-0.725	
29.VII	0.056	-0.748	
1.VIII	0.876	-0.725	
14.VIII	0.590	-0.740	
1945, 7.V	0.250	-0.714	
12.V	0.381	-0.713	ამ ფორმულის საფუძველზე ფერის ეკვივალენტის მნიშვნელობა სტებინსის სისტემაში, 0.000 — ფაზისთვის, მივიღეთ $c_0^{(S)} = -0.076$ . სტებინსისა და პატერის <sup>18</sup> კატალოგის მიხედვით U Ophiuchi-ს ფერის ეკვივალენტი $-0.09$ -ის ტოლია. სტებინსის სისტემაში მთავარი ჩინიმუმის გარეშე ფერის ეკვივალენტის საშუალო მნიშვნელობა მივიღეთ $-0.092$ , ეს კარგ თანხმობაშია სტებინსის მიერ მიღებულ მნიშვნელობასთან.
13.V	0.844	-0.715	
15.V	0.006	-0.688	
20.V	0.994	-0.679	
2.VI	0.736	-0.722	

სიკაშეაშისა და ფერის ეკვივალენტის მრუდები. გას შემდეგ, რაც მიღებული იყო შესადარებელი ვარსკვლავების სიკაშეთა სხვაობა, შევუდექით შესადარებელი ვარსკვლავისა და ცვალებადი ვარსკვლავის სიკაშეთა სხვაობის განსაზღვრის. რედუქცია ექსტრინქციაზე სრულდებოდა (1) ფორმულით. სიზუსტისათვის შესადარებელი ვარსკვლავისა და ცვალებადი ვარსკვლავის ნიმდვილი სხვაობისათვის ვლებულობით საშუალოს მნიშვნელობიდან.

მიღებული სხვაობა მოყვანილია I ცხრილში. ფაზები გამოთვლილია შნელერის (Schneller) კატალოგში მოყვანილი 6. ფლორიას ელემენტების მიხედვით:

$$M = 2408279.6402 + 1.6773450 E. \quad (13)$$

ფაზები მოყვანილია I ცხრილის მეორე სვეტში.

მიღებულ სიკაშეში მრუდებზე მინიმუმების ასიმეტრია არა აქვს აღგილი. მინიმუმები სიმეტრიულია  $0^{\circ} 007$  ფაზის მიმართ. ვისარგებლეთ რა ამ გარემოებით, ნორმალური წერტილები მინიმუმებში მივიღეთ ძირითად და ამ ფაზის მიმართ სიმეტრიული წერტილებისაგან. თითოეულ სპექტრულ უბანში დაკვირვებები (240) თავმოყრილია 45 ნორმალურ წერტილში. ნორმალური წერტილების საშუალო კვადრატული ცდომილება მინიმუმებში  $\pm 0.005$  რიგისაა, მაგრამ მასი  $\pm 0.003$ .

VI ცხრილში მიმდევრობით მოყვანილია:

ფაზის საშუალო მნიშვნელობა, სიკაშეთა სხვაობის საშუალო მნიშვნელობები ყვითელ და ლურჯ სხივებში და ნორმალურ წერტილებში გაერთიანებულ დაკვირვებათა რიცხვი.

სიკაშეთა მრუდებზე მეორადი მინიმუმის გადაადგილება ორი მომდევნო მთავარი მინიმუმის შუა ადგილის მიმართ არ არის შემჩნეული. სიკაშეში მაქსიმუმში აღგილი აქვს არეკვლისა და კომპონენტების ელიფსურობის ეფექტს. ეს უკანასკნელი უფრო მკვეთრია ლურჯი სხივების შესაბამის მრუდზე.

უფრადღებას იქცევს მთავარი და მეორადი მინიმუმების არაერთნაირი ხანგრძლივობა. მთავარი და მეორადი მინიმუმების სილრეგები ტოლია  $0^{\circ} 697$ ,  $0^{\circ} 603$ -ისა ცვითელ სხივებში და  $0^{\circ} 702$ ,  $0^{\circ} 611$ -ისა ლურჯ სხივებში. ცვითელ და ლურჯ სხივებში მინიმუმები ერთდროულად ხდება; ე. ი. ტიხოვნორდმანის ეფექტს არა აქვს ადგილი.

ფერის ეკვივალენტის ფაზაზე დამოკიდებულების მისაღებად გამოიითვალით ცვალებადი ვარსკვლავისა და შესადარებელი ვარსკვლავის ფერის ეკვივალენტების სხვაობა ფორმულით:

$$c_{0u} - c_{0d} = c_u - c_d + \alpha [F_u(z) - F_d(z)].$$


$\varphi$	$\Delta m_{\text{as}}$	$\Delta m_e$	$n$
0 $^{\circ} 0093$	-0.379	-0.010	3
0.0130	-0.339	0.016	2
0.0198	-0.264	0.070	5
0.0285	-0.152	0.187	4
0.0332	-0.105	0.241	5
0.0382	-0.062	0.283	5
0.0428	-0.016	0.354	4
0.0480	0.025	0.396	5
0.0532	0.068	0.470	4
0.0662	0.198	0.567	5
0.0803	0.266	0.629	5
0.0874	0.276	0.631	5
0.0952	0.286	0.648	5
